



ვებგვერდი

26/12/2014

სარეგისტრაციო კოდი

190020020.35.152.016206

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N42

2014 წლის 25 დეკემბერი

ქ. დუშეთი

„დუშეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 დეკემბრის N58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილების, მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„დუშეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 30 დეკემბრის N58 დადგენილებაში (სსმ. 30/12/2013. ს/კ 190020020.35.152.016164) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 1. დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

ათასი ლარი

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	10,951.4	11,623.9	6,968.9	4,655.0	12,000.2	6,065.0	5,935.2
გადასახადები	1,860.1	1,943.8	0.0	1,943.8	1,911.5	0.0	1,911.5

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	8,609.7	9,160.0	6,968.9	2,191.1	9,395.2	6,065.0	3,330.2
სხვა შემოსავლები	481.6	520.1	0.0	520.1	693.5	0.0	693.5
ხარჯები	3,740.8	4,222.4	158.1	4,064.3	5,999.3	293.1	5,706.2
შრომის ანაზღაურება	921.4	1,230.7	0.0	1,230.7	1,233.7	0.0	1,233.7
საქონელი და მომსახურება	1,173.5	1,037.8	29.1	1,008.7	1,426.2	0.0	1,426.2
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	226.4	204.8	0.0	204.8	180.5	0.0	180.5
სუბსიდიები	1,010.5	1,251.5	27.7	1,223.8	2,073.7	0.0	2,073.7
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	2.3	0.0	2.3
სოციალური უზრუნველყოფა	329.4	315.6	0.0	315.6	503.1	56.0	447.1
სხვა ხარჯები	79.6	182.0	101.3	80.7	579.8	237.1	342.7
საოპერაციო სალდო	7,210.6	7,401.5	6,810.8	590.7	6,000.9	5,771.9	229.0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	7,501.3	6,095.1	6,087.7	7.4	8,065.5	7,121.6	943.9
ზრდა	7,566.1	6,351.0	6,087.7	263.3	8,199.6	7,121.6	1,078.0
კლება	64.8	255.9	0.0	255.9	134.1	0.0	134.1
მთლიანი სალდო	-290.7	1,306.4	723.1	583.3	-2,064.6	-1,349.7	-714.9
ფინანსური აქტივების ცვლილება	-469.6	1,111.2	723.1	388.1	-2,289.7	-1,349.7	-940.0
ზრდა	340.4	1,111.2	723.1	388.1	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	340.4	1,111.2	723.1	388.1	0.0	0.0	0.0
კლება	810.0	0.0	0.0	0.0	2,289.7	1,349.7	940.0
ვალუტა და დეპოზიტები	810.0	0.0	0.0	0.0	2,289.7	1,349.7	940.0
ვალდებულებების ცვლილება	-178.9	-195.2	0.0	-195.2	-225.1	0.0	-225.1
კლება	178.9	195.2	0.0	195.2	225.1	0.0	225.1
საშინაო	178.9	195.2	0.0	195.2	225.1	0.0	225.1
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

ბ) დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 2. დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	11,016.2	11,879.8	6,968.9	4,910.9	12,134.3	6,065.0	6,069.3
შემოსავლები	10,951.4	11,623.9	6,968.9	4,655.0	12,000.2	6,065.0	5,935.2
არაფინანსური აქტივების კლება	64.8	255.9	0.0	255.9	134.1	0.0	134.1
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდლები	11,485.8	10,768.6	6,245.8	4,522.8	14,424.0	7,414.7	7,009.3
ხარჯები	3,740.8	4,222.4	158.1	4,064.3	5,999.3	293.1	5,706.2
შრომის ანაზღაურება	921.4	1,230.7	0.0	1,230.7	1,233.7	0.0	1,233.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	7,566.1	6,351.0	6,087.7	263.3	8,199.6	7,121.6	1,078.0
ვალდებულებების კლება	178.9	195.2	0.0	195.2	225.1	0.0	225.1
ნაშთის ცვლილება	-469.6	1,111.2	723.1	388.1	-2,289.7	-1,349.7	-940.0

გ) დადგენილების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 3. დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 12 000,2 ათასი ლარის ოდენობით.

ათასი ლარი

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	10,951.4	11,623.9	6,968.9	4,655.0	12,000.2	6,065.0	5,935.2
გადასახადები	1,860.1	1,943.8	0.0	1,943.8	1,911.5	0.0	1,911.5
გრანტები	8,609.7	9,160.0	6,968.9	2,191.1	9,395.2	6,065.0	3,330.2
სხვა შემოსავლები	481.6	520.1	0.0	520.1	693.5	0.0	693.5

დ) დადგენილების მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 693,5 ათასი ლარის ოდენობით.

ათასი ლარი

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	481.6	520.1	693.5
შემოსავლები საკუთრებიდან	229.8	194.2	300.4
პროცენტები	15.8	0.0	30.4
რენტა	214.0	194.2	270.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	201.3	180.9	264.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	12.7	13.3	6.0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	0.0	0.0	0.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	103.1	95.9	128.2
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	84.9	77.2	116.2
სანებართვო მოსაკრებელი	6.4	15.5	24.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	2.0	0.0	0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	76.5	61.7	92.2
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	18.2	18.7	12.0
შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	18.2	18.7	12.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	67.1	90.4	187.2
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	81.6	139.6	77.7

ე) დადგენილების მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 5 999,3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით.

ათასი ლარი

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	3,740.8	4,222.4	158.1	4,064.3	5,999.3	293.1	5,706.2
შრომის ანაზღაურება	921.4	1,230.7	0.0	1,230.7	1,233.7	0.0	1,233.7
საქონელი და მომსახურება	1,173.5	1,037.8	29.1	1,008.7	1,426.2	0.0	1,426.2
პროცენტი	226.4	204.8	0.0	204.8	180.5	0.0	180.5
სუბსიდიები	1,010.5	1,251.5	27.7	1,223.8	2,073.7	0.0	2,073.7
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	2.3	0.0	2.3
სოციალური უზრუნველყოფა	329.4	315.6	0.0	315.6	503.1	56.0	447.1
სხვა ხარჯები	79.6	182.0	101.3	80.7	579.8	237.1	342.7

ვ) დადგენილების მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 8 065,5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების ცვლილება	7,501.3	6,095.1	6,087.7	7.4	8,065.5	7,121.6	943.9
ზრდა	7,566.1	6,351.0	6,087.7	263.3	8,199.6	7,121.6	1,078.0
კლება	64.8	255.9	0.0	255.9	134.1	0.0	134.1

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 8 199,6 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი	2014 წლის გეგმა
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	21.9	12.9	749.6
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	1.0	0.0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	7,489.5	6,322.0	7,283.7
განათლება	21.8	15.1	148.0
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	31.6	0.0	3.9
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1.3	0.0	14.4
სულ ჯამი	7,566.1	6,351.0	8,199.6

ზ) დადგენილების მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ციონალური	დასახელება	2012 წლის	2013 წლის ფაქტი		2014 წლის გეგმა	
			სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის

		ფაქტი		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,671.3	1,911.5	0.0	1,911.5	3,094.9	650.5	2,444.4
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1,433.0	1,697.4	0.0	1,697.4	2,809.5	650.5	2,159.0
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,354.1	1,697.4	0.0	1,697.4	2,785.4	650.5	2,134.9
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	78.9	0.0	0.0	0.0	24.1	0.0	24.1
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	226.4	214.1	0.0	214.1	285.4	0.0	285.4
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	11.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
702	თავდაცვა	47.2	53.0	0.0	53.0	56.1	0.0	56.1
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	172.8	131.2	0.0	131.2	180.4	0.0	180.4
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	32.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	140.7	131.2	0.0	131.2	180.4	0.0	180.4
704	ეკონომიკური საქმიანობა	6,482.5	4,574.2	4,262.4	311.8	6,255.1	5,620.5	634.6
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	10.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
70421	სოფლის მეურნეობა	10.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7045	ტრანსპორტი	5,416.6	1,795.7	1,518.4	277.3	1,998.5	1,598.7	399.8
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5,332.5	1,673.4	1,518.4	155.0	1,876.2	1,598.7	277.5
70454	საჰაერო ტრანსპორტი	80.0	122.3	0.0	122.3	120.0	0.0	120.0
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	4.1	0.0	0.0	0.0	2.3	0.0	2.3
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1,055.5	2,778.5	2,744.0	34.5	4,256.6	4,021.8	234.8
705	გარემოს დაცვა	244.2	148.7	0.0	148.7	426.6	0.0	426.6
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	224.5	147.8	0.0	147.8	2.5	0.0	2.5
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	19.7	0.9	0.0	0.9	19.0	0.0	19.0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	405.1	0.0	405.1
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1,139.5	2,168.3	1,940.6	227.7	1,172.9	646.0	526.9
7061	ბინათმშენებლობა	19.4	1.4	0.0	1.4	76.3	0.0	76.3
7063	წყალმომარაგება	606.7	564.9	528.4	36.5	707.0	531.7	175.3
7064	გარე განათება	343.3	276.6	153.1	123.5	108.8	11.2	97.6
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	170.1	1,325.4	1,259.1	66.3	280.8	103.1	177.7
707	ჯანმრთელობის დაცვა	27.2	32.8	0.0	32.8	61.7	0.0	61.7
7074	საზოგადოებრივი	27.2	32.8	0.0	32.8	47.3	0.0	47.3

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის ფაქტი			2014 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ჯანდაცვის მომსახურება							
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	0.0	0.0	0.0	0.0	14.4	0.0	14.4
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	534.1	557.1	0.0	557.1	1,281.5	413.6	867.9
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	203.7	179.6	0.0	179.6	807.0	413.6	393.4
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	313.3	368.2	0.0	368.2	445.7	0.0	445.7
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	9.0	1.7	0.0	1.7	3.8	0.0	3.8
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	8.1	7.6	0.0	7.6	25.0	0.0	25.0
709	განათლება	604.9	632.0	42.8	589.2	1,027.6	28.1	999.5
7091	სკოლამდელი აღზრდა	479.1	559.1	42.8	516.3	918.4	28.1	890.3
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	65.1	72.5	0.0	72.5	102.3	0.0	102.3
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	60.7	0.4	0.0	0.4	6.9	0.0	6.9
710	სოციალური დაცვა	383.2	364.6	0.0	364.6	642.1	56.0	586.1
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	62.3	75.6	0.0	75.6	81.3	0.0	81.3
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	106.8	73.9	0.0	73.9	138.2	0.0	138.2
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	2.1	0.0	0.0	0.0	13.7	0.0	13.7
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	212.0	215.1	0.0	215.1	408.9	56.0	352.9
	სულ	11,306.9	10,573.4	6,245.8	4,327.6	14,198.9	7,414.7	6,784.2

თ) დადგენილების მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 24,1 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების შესაბამისად.

ი) დადგენილების მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 16. ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1.თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

სტიქიური მოვლენების, უბედური შემთხვევების და სხვა საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში მოსახლეობის დახმარების გასაწევად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სახანძრო-

სამაშველო სამსახურის ოპერატიული მოქმედება, მათი მზადყოფნა დროული და სათანადო დახმარების აღმოსაჩენად; აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა; პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ქ. დუშეთში ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება, ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება.

1.1 საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

ხანძრისა და სტიქიური უბედურების შემთხვევების დროს მოსახლეობისა და მათი ქონების დასაცავად ადგილზე დროული მისვლა და კვალიფიციური დახმარების აღმოჩენა; საგანგებო სიტუაციებით გამოწვეული ზარალის სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელება.

1.2 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ქ. დუშეთში ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება. ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

დუშეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, კეთილმოწყობის სამუშაოები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა- შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

მუნიციპალიტეტში სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საავტომობილო გზების, ხიდების და ბოგირების მშენებლობის აუცილებლობა. მნიშვნელოვანია საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი გზების რეკონსტრუქცია და მოდერნიზება. ზამთარში დიდთოვლობის დროს მაღალმთიან სოფლებში ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია თოვლის საფარისაგან გზების გაწმენდა. ასევე მნიშვნელოვანია საჰაერო ტრანსპორტი მაღალმთიანი სოფლებისათვის, სადაც დიდ თოვლობის დროს ავტოტრანსპორტით მისვლა შეუძლებელია. საჰაერო ტრანსპორტი ამ დროს იძენს სასიცოცხლო მნიშვნელობას მაღალმთიანი სოფლებისთვის.

2.1.1 გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს დაგეგმილია: ქ. დუშეთში, ბექაურის ქუჩის ბოლო მონაკვეთის მოხრეშვა, სოფ. სულიკიანთკარში შიდა გზების მოხრეშვა, სოფ. მთვარელიანთკარის შემოვლითი გზის მოხრეშვა, სოფ. მთვარელიანთ დასახლებაში საცალფეხო ხიდის მოწყობა, სოფ. მეზვრიაანთკარში მიმავალი გზის 100 მეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია, სოფ. მლაშე-საკრამულის სამოკლეო საავტომობილო გზის მოსწორება-მოხრეშვა, ქ. დუშეთში, შალიკიანთ და მთვარელიანთ დასახლებაში შეტანილი ბალასტის სავალ ნაწილზე გაშლა-დატკეპნა, კობიანთ დასახლებაში, ე.წ. თამარ მეფის“ წყაროსთან შემავალი გზის და ქვემო უბნის გზის მოხრეშვა, შალიკიანთ დასახლებაში შიდა გზების მოხრეშვა, კიუვეტის მოწყობა, მცხეთა-ლარსის საავტომობილო გზაზე ქ. დუშეთის მიმართულების მაჩვენებელი სვეტის რეაბილიტაცია, ქ. დუშეთში, სააკაძის ქუჩაზე ქვაფენილის მოწყობა, სოფ. ჭოპორტში მთ. საავტომობილო გზის დარჩენილი მონაკვეთების მოასფალტება, იოსელიანის ქუჩის მეორე. შეს. მოასფალტება და ანაკრები სანიაღვრე არხის მოწყობა, რაზიკაშვილის ქუჩის და მოედნის (ბაზრის უკან) მოასფალტება, სოფ. ბაგაში მისასვლელი მთ. გზის მოასფალტება, სოფ. ჩარგალში ტაძართან, სასაფლაოს გზაზე ხიდის მოწყობა, ტყეკაფებში მისასვლელი არსებული სამანქანე გზების სარემონტო სამუშაოები და ახალი სამანქანე გზების მოწყობა, მთავრელიანთ დასახლებაში არსებული სანიაღვრე არხის რეკონსტრუქცია, სისწრაფის შემზღუდველების მოწყობა, შიდა გზების შეკეთება, სოფ. ხეობაში მისასვლელი გზის შეკეთება, კარიაულების დასახლებაში შიდა გზების შეკეთება, კობიანთკარის დასახლებაში ე.წ. „თამარ მეფის“ წყაროს უკან და ე.წ. „ბაღის წყლის“ მიმდებარე ტერიტორიასთან ასასვლელი დაზიანებული გზების შეკეთება.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაგრძელდება 2013 წელს დაგეგმილი პროექტები: ქ. დუშეთში, ბექაურის, სააკაძის ქუჩების მოასფალტება, დაბა ჟინვალში, შიდა გზების მოასფალტება და ქ. დუშეთში კარიაულთ დასახლებაში შიდა გზების რეაბილიტაცია და შიდა საუბნო გზის გაყოლებით სანიაღვრე არხების მოწყობა.

2.1.2 საჰაერო ტრანსპორტით მომსახურება (პროგრამული კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მეწყერების, დიდთოვლობის შედეგად ჩაკეტილი გზების და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის მალალმთიან სოფლებში, შატილსა და არხოტში საჰაერო ტრანსპორტით მომსახურება.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, დასუფთავების ღონისძიებები, მაწანწალა ძაღლების სალიკვიდაციო ღონისძიებები და მრავალსართულიანი სახლების რეაბილიტაციისათვის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსება.

2.2.1 გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: სოფ. მჭადიჯვარში, სოფ. ბაზალეთში, სოფ. ჭოპორტში გარე განათების სისტემის მოწყობა და სოფ. გრიგოლაანთკარში ელ. მომარაგების ხაზის მოწყობა ჯვრის გასანათებლად.

2.2.2 საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: ქ. დუშეთში, საზოგადოებრივი ტუალეტის მოწყობა.

2.2.3 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: სოფ. პირმისაანთკარში (ბაზალეთის თემი) და სოფ. ციხისძირში (ანანურის თემი) წყალმომარაგების ქსელის მოწყობა, ქ. დუშეთის შემოსავლელში წყაროს მოწყობა, რადიოსადგურის დასახლებაში წყალმომარაგების დაზიანებული სისტემის აღსადგენად საჭირო მასალების შესყიდვა, სოფ. ბაზალეთის ე.წ. „დურგლიანთ-პაპიაანთ უბნის“ წყალმომარაგებისათვის საჭირო სამ ფაზიანი წყლის ტუმბო შესყიდვა, ანანურის წყლის რეაბილიტაცია (ავენისი-ანანური), სოფ. მჭადიჯვარში, ე.წ. „ნავროზაანთ უბნის“ სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სოფ. ახატნის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა, სოფ. დავათში წყაროს რეაბილიტაცია, სოფ. ბულაჩაურში ე.წ. „კორპუსების დასახლების“ წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაგრძელდება 2013 წელს დაგეგმილი პროექტები: სოფ. ჩანადირთკარში სასმელი წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია, ჭოპორტის თემში, ბულაჩაური-ქუბრიანთკარის სასმელი წყლის მოწყობა და სოფ. ლუთხუბში, სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2.2.4 გაზგაყვანილობის სისტემების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: დაბა ფასანაურში და სოფ. ქვემეთში ადმინისტრაციული შენობების გაზმომარაგება.

2.2.5 სარწყავი, სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: მცხეთა-ლარსის საავტომობილო გზიდან, ქ. დუშეთის ამოსასვლელის სავალი ნაწილის დამცავი კედლის რეაბილიტაცია და ე.წ. „დამპალი წყაროს“ სათავე ნაგებობის და მილსადენის რეაბილიტაცია, ქ. დუშეთში, დავით აღმაშენებლის ქ. N100-ში მდებარე მე-4 კორპუსთან წყალსაქცევი ღარის მოწყობა, ქ. დუშეთში რუსთაველის, ერეკლე მეორის, ჭავჭავაძის და კოსტავას ქუჩის ტროტუარების მიმდებარე შესაკეთებელი კედლისა და მისი მოპირკეთების რეაბილიტაცია, სოფ. მჭადიჯვარში სანიაღვრე არხზე (ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია) ცხაურის მოწყობა, სოფ. ოძისში, ეკლესიის მიმდებარედ დამცავი კედლის მოწყობა, ქ. დუშეთში: ობსერვატორიის ქუჩის ზემოთ და ყაზბეგის ქუჩაზე წყალსაქცევის მოწყობა და სააკადის და მწითურის ქუჩების დამცავი ბეტონის ბორდიურის მოწყობა (ცოკილაური სანათას სახლიდან ლითიკაშვილი ონისეს სახლამდე), სოფ. წითელსოფელში, ხევის კალაპოტის გაწმენდა-დადრმავება, ქ. დუშეთში ჭონქაძის ქ. N18-ის მიმდებარედ ქუჩების გასწვრივ სამაგრი კედლის მოწყობა, სოფ. ანანურში, ახალ დასახლებაში სანიაღვრე არხზე განივი ბოგირის მოწყობა, ქ. დუშეთში სანიაღვრე არხის გადახურვის სამუშაოები, ქ. დუშეთში, ყოფილი კარაქმრეწვის ჩასახვევში სანიაღვრე არხის მოწყობა.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაგრძელდება 2013 წელს დაგეგმილი პროექტები: ქ. დუშეთში, დავით აღმაშენებლის (ყოფილი სტალინის) ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა, ქ. დუშეთში, დუშეთის ხევზე 2 ხიდისა და ნაპირსამაგრის მოწყობა, ფასანაურში ნაპირსამაგრი სამუშაოები და დუშეთის მუნიციპალიტეტისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოს მისიის პროგრამის „ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ინიციატივის“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში დაფინანსებული სოფ. არაგვისპირში ნაპირსამაგრის მოწყობა.

2.2.6 საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის ქ. დუშეთში, ბესიკის ქ. N16-ში 10 ბინიანი საცხოვრებელი სახლის, სამხედრო დასახლება N3-ში მდებარე მე-7 კორპუსის სახურავების რეაბილიტაციისათვის მასალების შესყიდვა და ქ. დუშეთში, აღმაშენებლის ქ. (ყოფილი სტალინის ქუჩა) N100-ში მდებარე IV კორპუსის წყალმომარაგების ცენტრალური მაგისტრალის სარეაბილიტაციოდ საჭირო მასალების შესყიდვა. ასევე დაბა ჟინვალში 14 საცხოვრებელი კორპუსის რეაბილიტაციისათვის მასალების შესყიდვა.

2.3 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები (პროგრამული კოდი 03 03)

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება 2014 წელს გამოყოფილი, წინა წელს მიღებული დარჩენილი თანხით და ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საჭიროების შემთხვევაში სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილების საფუძველზე სხვადასხვა პროექტები.

2.4 კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)

დღევანდელ დროში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას ახალგაზრდებში, რისთვისაც მნიშვნელოვანია სპორტული ობიექტების მშენებლობა, ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქის იერსახის გაუმჯობესებას, რისთვისაც საჭიროა ქალაქის გამწვანება, ბაღების და სკვერების მშენებლობა და მოვლა-პატრონობა.

2.4.1 სპორტული დარბაზების და მოედნების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 04 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: დაბა ფასანაურში სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია და ქ. დუშეთში მდებარე ღია ტიპის საჭიდაო არენის და დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობა.

2.4.2 ბაღების, სკვერების, სავაჭრო პავილიონების მოწყობა და კულტურული ძეგლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დუშეთის მუნიციპალიტეტისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოს მისიის პროგრამის „ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ინიციატივის“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სოფ. წითელსოფლის ბაზრის მოწყობა. ასევე დაგეგმილია სოფ. წითელსოფელში სკვერის მოწყობა, ქ. დუშეთში, სპორტული კომპლექსის მიმდებარედ სკვერის მოწყობა, სოფ. ბარისახოში კარუსელების მოწყობა, ქ. დუშეთში, მთავარ მოედანზე საათის მონტაჟი და ქ. დუშეთში ყოფ. სამუსიკო სკოლის სარემონტო სამუშაოები.

2.4.3 ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის“ ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 04 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:

- ქალაქის, დაბების, რიგი სოფლების დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაწანწალა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზებულ თავშესაფარში;
- გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, ქალაქის იერსახის შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით;
- ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნისათვის ტერიტორიის კეთილმოწყობა, გამწვანება, ნარგავების მოვლა–პატრონობა, გამწვანების ზონაში ყვავილების და სხვა დეკორატიული მცენარეების დარგვა;
- ქ. დუშეთის სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.

2.5 სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 05)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია, 2013 წელს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების და 2014 წლის აპრილის, მაისის, ივნისის, ივლისის და აგვისტოს თვეებში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდების (მათ შორის, სახიდე გადასასვლელები), ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, სასმელი წყლის სათავე ნაგებობების, სანიაღვრე არხების (მათ შორის, წყალგამტარი მილები), ბოგირების, გაბიონების, ბეტონის საყრდენი კედლების, ნაპირსამაგრი ნაგებობების, საცხოვრებელი სახლების და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენითი სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა.

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება 2013 წელს დაგეგმილი, სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები: სოფ. კაწალხევში გზის მოწყობა და კალაპოტის გაწმენდა, სოფ. კაწალხევში გაბიონის მოწყობა, სოფ. კაწალხევში ორი ბოგირის და საფეხმავლო ხიდის მოწყობა, უკანაფშავის ტერიტორიული ორგანოს ტერიტორიაზე, ფშავის არაგვის ხეობაში სოფ. თხილიანაში საცალფეხო ხიდის მოწყობა, ორწყლიდან უკანაფშავამდე მდინარე ფშავის არაგვის კალაპოტის დამბების მოწყობით და სავალი ნაწილის აღდგენა, ორწყლიდან უკანაფშავამდე გაბიონების მოწყობა, უკანაფშავის ტერიტორიულ ორგანოში ფშავის არაგვის ხეობაში ე.წ. "დამხეხვას" ხევზე ხიდის რეაბილიტაცია, სოფ. პავლეურში სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფ. ანანურში, ახალ დასახლებაში დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები და სოფ. ციხისძირში სანიაღვრე არხების მოწყობა (დასახლებაში) დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2.6. სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ექსპერტიზის და ქალქმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 06)

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს, მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების გათვალისწინებით, შესაბამისი საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. აუცილებელია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება შესრულებული სამუშაოების

საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. მათ შორის: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხით, ანაზღაურების წყლის რეაბილიტაციის (ავენისი-ანაზღაურების), დაბა ჟინვალში N18 კორპუსის კაპიტალური რემონტის, ქ. დუშეთში, ყოფილი სამუსიკო სკოლის სარემონტო სამუშაოების, სოფ. ჭოპორტის მთავარი საავტომობილო გზის დარჩენილი მონაკვეთების მოასფალტების და გარე განათების მოწყობის, ქ. დუშეთში, იოსელიანის ქუჩის მეორე შესახვევის მოასფალტების და ანაკრები რკპ სანიაღვრე არხის მოწყობის, ქ. დუშეთში, რაზიკაშვილის ქუჩის და მოედნის (ბაზრის უკან) მოასფალტების, სოფ. ბაგაში მისასვლელი მთავარი გზის მოასფალტების და სოფ. ჩარგალში ტაძართან, სასაფლაოს გზაზე ხიდის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა. გარდა ამისა, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება პანსიონების დაფინანსება მოსწავლეთა ხელშეწყობის მიზნით.

3.1 სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 14 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 600-ზე მეტი ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს საბავშვო ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. საბავშვო ბაღებში ერთი ბავშვის კვების ღირებულება შეადგენს 1.50 ლარს. 2014 წელს დაგეგმილია სოფ. ბულაჩაურის საბავშვო ბაღის გახსნა.

ქვეპროგრამის ფარგლებში დუშეთის მუნიციპალიტეტისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოს მისიის პროგრამის „ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ინიციატივის“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში დაგეგმილია, სოფ. ქვეშეთის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. ასევე დაგეგმილია ქ. დუშეთის N1 საბავშვო ბაღის გათბობის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფ. პირმისაანთკარის საბავშვო ბაღის საკანალიზაციო ქსელის მოწყობა, სოფ. ბაზალეთის და ჭოპორტის საბავშვო ბაღებში წყალგაყვანილობის სამუშაოები. დასრულდება სოფ. ბულაჩაურის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები და მოეწყობა წყალმომარაგების ქსელი.

3.2. მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრის დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის ფარგლებში, მოსწავლეთა ხელშეწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტი აფინანსებს მაღაროსკარის, ბარისახოს და შატილის პანსიონებს. პანსიონებში ბავშვთა რაოდენობა შეადგენს 53-ს. კვების ხარჯი ერთ ბავშვზე შეადგენს 2,40 ლარს, რაც მთლიანად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება. კვების ხარჯების გარდა, მუნიციპალიტეტი აფინანსებს პანსიონების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე აფინანსებს ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. 2014 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიება. ტარდება მუნიციპალური, რეგიონული, საერთაშორისო და რესპუბლიკური ტურნირები ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში, უმცროს ასაკში, ჭაბუკებსა და ახალგაზრდობაში, ასევე რეგიონული და რესპუბლიკური ტურნირები ფეხბურთში, ფრენბურთში, ნიჩბოსნობაში, კრივში; დუშეთის სპორტულ სკოლას წარმატებები აქვს ჭიდაობის სხვადასხვა სახეობებში, ფეხბურთში, ფრენბურთში, კრივში, ნიჩბოსნობაში. აღსაზრდელები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა საერთაშორისო და რესპუბლიკურ ტურნირში, სადაც კარგი მიღწევებით გამოირჩევიან.

4.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული ღონისძიების, ტურნირის, შეჯიბრების ორგანიზება, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და დაფინანსება.

4.1.2 სასპორტო გაერთიანების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

